



საქართველოს ეროვნული ბანკი  
National Bank of Georgia

# ივლისი თვის ბიზნესილვა

---

2026

ინფლაცია .....	3
საბანკო სექტორი .....	5
საბარეო სექტორი .....	7
სავალუტო ბაზარი.....	10
ფულადი ბაზარი.....	13
მონეტარული აგრეგატები.....	14

“თვის მიმოხილვა“  
მომზადებულია საქართველოს ეროვნული ბანკის  
მაკროეკონომიკისა და სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ

ყოველთვიური პუბლიკაცია

ISSN 1512-1259



# ინფლაცია

ივნისში წლიურმა ინფლაციამ 5.8% შეადგინა, ხოლო მაისთან შედარებით ფასების საერთო დონემ 0.1%-ით მოიმადა. ბოლო თვეებში ინფლაციის მატების მთავარი მიზეზი მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში სანვავზე ფასებზე მატებაა, რაც ახლო აღმოსავლეთში საომარი მოქმედებებიდან გამომდინარე, ჰორმუზის სრუტეში ნავთობის ტრანსპორტირების შეფერხებას უკავშირდებოდა. ივნისის მდგომარეობით სანვავის ფასები კვლავ გაზრდილ დონეზე წარჩნდებოდა. თუმცა ახლო აღმოსავლეთში მდგომარეობის დეესკალაციის ფონზე ნავთობის ფასებს საერთაშორისო ბაზრებზე შემცირების ტენდენცია აქვს. სანვავის ფასების კლების ფონზე, სხვა თანაბარ პირობებში, ინფლაციური წნეხის შემცირებაა მოსალოდნელი.

რაც შეეხება შედარებით ხისცი ფასების საზომებს, საბაზო ინფლაციამ, რომელიც სამომხმარებლო კალათიდან მერყევ სურსათის, ენერგომატარებლების და სიგარეტის ფასებს გამორიცხავს, ივნისში 3.2% შეადგინა, ხოლო მომსახურების ინფლაცია 4.1%-ს გაუცოლდა.

## თვის ინფლაცია 0.1% (ბნიშვნელოვანი წვლილები)

## წლიური ინფლაცია 5.8% (ბნიშვნელოვანი წვლილები)




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივნისში, გასულ თვესთან შედარებით, სანვავის ფასები ადგილობრივ ბაზარზე თითქმის უცვლელად შენარჩუნდა. ყველაზე მნიშვნელოვანი გავლენა თვის ინფლაციაზე კარტოფილის 15%-ით გაძვირებას ჰქონდა, რამაც თვის ინფლაცია 0.11 პროცენტული პუნქტით (პპ) გაზარდა. წინა თვესთან შედარებით ბინის ქირისა და თვითმფრინავით მგზავრობის ღირებულების მატება ინფლაციაზე ასევე ზრდის მიმართულებით მოქმედებდა. სეზონური ფაქტორების გამო, სურსათის ცალკეული პროდუქტები დისინფლაციური იყო.

წლიურ ტრილში ბენზინი და დიზელი შესაბამისად, 30% და 49%-ით გაძვირდა, ხოლო ჯამში სანვავის გავლენამ ინფლაციაზე 1.3 პპ შეადგინა. ინფლაციის მატებაზე სურსათი კვლავ მნიშვნელოვან გავლენას ახდენს, თუმცა მისი წვლილი წლის სანყის თვეებთან შედარებით შემცირებულია. ივნისში სურსათის ინფლაციამ 5.8%, ხოლო წვლილმა ინფლაციაში 1.8 პპ შეადგინა. აქედან ყველაზე დიდი გავლენა პურს (0.5 პპ) და ძროხის ხორცს (0.5 პპ) ჰქონდა. სხვა პროდუქტებიდან აღსანიშნავია ელექტროენერჯის (0.5 პპ) და ჯანდაცვის (0.4 პპ) წვლილები.


ინფლაციაზე შემცირების მიმართულებით ყველაზე მეტად საბაზო ეფექტის გამო კარტოფილის წლიური გაიაფება მოქმედებდა (-0.16 პპ). ხანგრძლივი მოხმარების საქონელზე დეფლაციური ტენდენცია გრძელდება. კერძოდ, საყოფაცხოვრებო ტექნიკის (ტელევიზორი, მაცივარი, სარეცხი მანქანა) ფასების კლებამ მთლიანი ინფლაცია 0.21 პპ-ით შემცირა.

## მთლიანი და საბაზო ინფლაცია



წყარო: საქსტატი


## ჯგუფების წვლილი მთლიან ინფლაციაში




წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშებები

ივნისში ადგილობრივად წარმოებული პროდუქტების წლიურმა ინფლაციამ 5.7% შეადგინა. ადგილობრივ ინფლაციაზე ყველაზე მეტი გავლენა პურის, ხორცისა და ყველის ფასებს აქვს (ჯამში 2.8 პპ). შერეულად წარმოებული პროდუქტების ინფლაციაში (6.2%) ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილები ელექტროენერჯის გადასახდას (1.8 პპ) და ოქროს ბეჭედზე (0.8 პპ) მოდიოდა. იმპორტირებულმა ინფლაციამ 6.1%-მდე მოიმადა, რაც ძირითად, სანვავის ფასების გაძვირებით აიხსნება (5.4 პპ).

იმპორტული, შერეული და ადგილობრივად წარმოებული პროდუქციის ინფლაცია და მათი წვლილები მთლიან ინფლაციაში



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი


ინფლაცია ჯგუფების მიხედვით	2026 წლის წონები	ივნ26/მაი26		ივნ26/ივნ25	
		ინფლაცია	წვლილი	ინფლაცია	წვლილი
სულ	100.0%	0.1%	0.1%	5.8%	5.8%
სურსათი და უალკოჰოლო სასმელები	33.6%	-0.1%	0.0%	5.6%	1.8%
სურსათი	30.8%	-0.1%	0.0%	5.8%	1.8%
პური და პურპროდუქტები	6.3%	0.1%	0.0%	6.6%	0.4%
ხორცი და ხორცპროდუქტები	7.0%	0.5%	0.0%	9.8%	0.7%
თევზეული	0.5%	1.5%	0.0%	20.4%	0.1%
რძე, ყველი და კვერცხი	6.3%	-1.5%	-0.1%	1.8%	0.1%
ზეთი და ცხიმი	2.7%	0.0%	0.0%	5.5%	0.1%
ხილი, ყურძენი	1.8%	3.3%	0.1%	8.7%	0.2%
ბოსტნეული, ბალჩეული, კარტოფილის და სხვა ბოლქვოვანების ჩათვლით	3.0%	-1.1%	0.0%	0.4%	0.0%
შაქარი, ჯემი, თაფლი, სიროფები, შოკოლადი, საკონდიტრო ნაწარმი	2.8%	-1.3%	0.0%	5.5%	0.2%
კვების სხვა პროდუქტები	0.6%	0.8%	0.0%	1.1%	0.0%
უალკოჰოლო სასმელები	2.8%	-0.2%	0.0%	2.6%	0.1%
ალკოჰოლური სასმელები და თამბაქო	6.6%	0.4%	0.0%	5.4%	0.4%
დანსაცმელი და ფეხსაცმელი	4.3%	-2.3%	-0.1%	2.1%	0.1%
საცხოვრებელი სახლი, წყალი, ელექტროენერგია, აირი და სათბობის სხვა სახეები	9.7%	0.5%	0.0%	7.2%	0.7%
ავეჯი, საოჯახო ნივთები და მორთულობა, სახლის მოვლა-შეკეთება	5.0%	-0.2%	0.0%	-2.2%	-0.1%
ჯანმრთელობის დაცვა	8.3%	0.1%	0.0%	4.7%	0.4%
დრანსპორტი	11.4%	0.6%	0.1%	16.5%	1.9%
კავშირგაბმულობა	3.1%	-0.2%	0.0%	-6.4%	-0.2%
დასვენება, გართობა და კულტურა	4.2%	0.8%	0.0%	0.9%	0.0%
განათლება	5.3%	0.0%	0.0%	2.4%	0.1%
სასტუმროები, კაფეები და რესტორნები	3.3%	2.1%	0.1%	8.4%	0.3%
სხვადასხვა საქონელი და მომსახურება	5.1%	-0.4%	0.0%	7.3%	0.4%
ხანმოკლე მოხმარების საქონელი	59.8%	0.0%	0.0%	7.8%	4.7%
საშუალო ხანგრძლივობის მოხმარების საქონელი	7.9%	-1.4%	-0.1%	1.8%	0.1%
ხანგრძლივი მოხმარების საქონელი	5.6%	-0.4%	0.0%	-1.8%	-0.1%
მომსახურება	26.7%	0.8%	0.2%	4.1%	1.1%

წყარო: საქსტატი

# საბანკო სექტორი


მაისში საბანკო სექტორის სადეპოზიტო ვალდებულებები წლიურად, 12.4 მლრდ ლარით, 21.1%-ით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 22.1%-ით) და 71.3 მლრდ ლარი შეადგინა. თვის ქრილში კი, იმავე მაჩვენებელმა 1.3 მლრდ ლარით მოიმადა. ეროვნული ვალუტის სადეპოზიტო ვალდებულებები წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 10.2 მლრდ ლარით (35.1%-ით), ხოლო წინა თვესთან შედარებით 1.8 მლრდ ლარით (4.8%-ით) გაიზარდა და 39.2 მლრდ ლარი შეადგინა. რაც შეეხება უცხოური ვალუტის დეპოზიტებს, მისმა მოცულობამ წლიურად 2.2 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 9.4%-ით) მოიმადა, ხოლო წინა თვესთან შედარებით 0.5 მლრდ ლარით (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით 0.6%-ით) შემცირდა.

## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## სადაპოზიტო ვალდებულებები



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


მაისში მთლიანი დეპოზიტების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის დეპოზიტებზე არსებული საპროცენტო განაკვეთების გარეშე), წინა თვის მსგავსად, 5.6%-ზე შენარჩუნდა. ეროვნული ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით, 7.0%-მდე, შემცირდა. ხოლო უცხოური ვალუტით დენომინირებულ დეპოზიტებზე, საშუალო შეწონილი წლიური საპროცენტო განაკვეთი დაახლოებით 0.1 პპ-ით გაიზარდა და 1.7%-ს შეადგენს. რეზიდენტების ლარის ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 9.7%-მდე შემცირდა, ევროს ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები 0.4 პპ-ით, 1.6%-მდე, რეზიდენტების აშშ დოლარით განთავსებული დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები კი 0.1 პპ-ით 2.6%-მდე გაიზარდა.

## დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები (მთავრობის პარაშე, ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


## რეზიდენტების ვადიანი დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთები ვალუტების მიხედვით (ნაკადი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**დეპოზიტების დოლარიზაცია მაისში 1.3 პპ-ით შემცირდა და 45.1% შეადგინა.** მაისის ბოლოს, ფიზიკური პირების დეპოზიტების დოლარიზაცია 0.8 პპ-ით შემცირდა და 59.3% შეადგინა. იურიდიული პირების დეპოზიტების დოლარიზაცია კი 1.2 პპ-ით 35.9%-მდე შემცირდა. ხოლო აშშ დოლარით განთავსებული ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია. ამასთან, ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტების დოლარიზაცია, მაისში წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით, 52.4%-მდე შემცირდა.

**დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფიზიკური პირების ვალდანი დემოზიფიკაციის დოლარიზაცია (კურსის ეფექტის გამორიცხვით)**





წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით, სესხების ზრდის ტემპი 0.1 პპ-ით გაიზარდა და წლიური მაჩვენებელი 14.2%-ს გაუტოლდა. აღნიშნული უცხოური ვალუტის დაკრედიტების ზრდის ტემპის მატებამ განაპირობა. კერძოდ, უცხოური ვალუტის სესხების ზრდის ტემპი 0.9 პპ-ით, 13.8%-მდე, გაიზარდა, ხოლო ეროვნული ვალუტით დაკრედიტების წლიური ზრდის ტემპი თვის წრილში დაახლოებით 0.5 პპ-ით შემცირდა და 14.5% შეადგინა. მთლიანი სესხების ზრდაში დაახლოებით 8.3 პპ-იანი წვლილი ლარის, ხოლო 5.9 პპ-იანი - უცხოური ვალუტის დაკრედიტებამ შეიტანა. საკრედიტო პორტფელის მიზნობრიობის წრილში, დაკრედიტების ზრდის ტემპის მატება, მეტწილად, იპოთეკური და ბიზნესის დიპის სესხებით აიხსნება, რომელთა წვლილიც მთლიანი სესხების ზრდაში თანაბრად, 0.1 პპ-ით გაიზარდა 2.7 პპ და 6.7 პპ-მდე.

**სასხაბის წლიური ზრდის ტემპი (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**

**სასხაბი მიზნობრიობის მიხედვით (წვლილი ზრდაში; კურსის ეფექტის გამორიცხვით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, სესხების საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი, წინა თვესთან შედარებით, 0.1 პპ-ით გაიზარდა და 13.5% შეადგინა. კერძოდ, ეროვნული ვალუტით გაცემულ კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 15.8%-მდე გაიზარდა. ხოლო, უცხოური ვალუტით გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.2 პპ-ით 9.4%-მდე შემცირდა.

**საპროცენტო განაკვეთები იურიდიულ პირებზე გაცემულ სასხაბზე (ნაპალი)**

**საპროცენტო განაკვეთები იპოთეკურ სასხაბზე (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, იურიდიული პირების საპროცენტო განაკვეთები ეროვნულ ვალუტაში 0.2 პპ-ით 12.8%-მდე გაიზარდა. იპოთეკური სესხების საპროცენტო განაკვეთი ეროვნულ ვალუტაში, წინა თვესთან შედარებით 0.1 პპ-ით 11.7%-მდე შემცირდა. ამავდროულად, იურიდიული პირების უცხოური ვალუტის სესხების საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით შემცირდა და 9.7% შეადგინა, ხოლო იპოთეკური სესხების უცხოური ვალუტის საპროცენტო განაკვეთი კი თითქმის 0.3 პპ-ით 8.0%-მდე გაიზარდა.

**მაისში, მთლიანი საკრედიტო პორტფელის დოლარიზაცია 0.1 პპ-ით, 42.4%-მდე გაიზარდა.** იურიდიული პირების სესხების დოლარიზაცია, წინა თვესთან შედარებით 0.7 პპ-ით გაიზარდა და 66.7% შეადგინა. ფიზიკური პირების სესხების დოლარიზაცია კი 0.3 პპ-ით 21.6%-მდე შემცირდა. მაისში, ვადაგადაცილებული სესხები, წინა თვესთან შედარებით, 0.4 მლნ ლარით შემცირდა და 658.6 მლნ ლარს გაუცოლდა. ვადაგადაცილებული სესხების 48.6% ეროვნული ვალუტით არის დენომინირებული.

**დოლარიზაცია (კურსის ფიქსირების გამოცხადებით)**

**ვადაგადაცილებული დავალიანება**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი



# საბარეო სექტორი

მაისში საქონლის რეგისტრირებული საგარეო ვაჭრობის დეფიციტი წინა წლის შესაბამის თვესთან შედარებით 1.3%-ით გაუმჯობესდა და -894.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში საქონლის იმპორტი წლიურად 5.1%-ით გაიზარდა და 1.6 მლრდ აშშ დოლარს გაუცოლდა, ხოლო ექსპორტი 15.1%-ით გაიზარდა და 667.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აქედან, მსუბუქი ავტომობილების კონტრიბუციამ ექსპორტში -4.1 პპ, ხოლო იმპორტში -7.4 პპ შეადგინა.

ამასთან, ადგილობრივი ექსპორტის ზრდა მაისშიც გაგრძელდა და წლიურად 41.5%-იანი ზრდის შედეგად 378.1 მლნ აშშ დოლარს გაუცოლდა.

**საქონლის ექსპორტ-იმპორტისა და სავაჭრო ბალანსის დინამიკა (მლნ აშშ დოლარი)**

**სავაჭრო ბალანსი ქვეყნების მიხედვით (მაისი, 2026)**



წყარო: საქსტატი


წყარო: საქსტატი

**იმპორტი** - მაისში საქონლის იმპორტის ზრდა შუალედური მოხმარების საქონლის იმპორტის ზრდამ განაპირობა (8.3 პპ კონტრიბუციით). ხოლო, საინვესტიციო და სამომხმარებლო დანიშნულების საქონლის იმპორტი კლების მიმართულებით მოქმედებდა და მათი წვლილი წლიურ ცვლილებაში, შესაბამისად -1.4 პპ და -1.8 პპ იყო.

შუალედური მოხმარების საქონლის კადეგორიაში გაზრდილია ნედლი ნავთობისა და სპილენძის მადნის იმპორტი.


სამომხმარებლო საქონელში, ერთი მხრივ, მნიშვნელოვნად შემცირდა მსუბუქი ავტომობილების იმპორტი, რომლის კონტრიბუციამ აღნიშნული ციპის საქონლის იმპორტში -12.3 პპ შეადგინა. მეორე მხრივ, გაიზარდა ნავთობპროდუქტების იმპორტი. ამასთან, მსუბუქი ავტომობილების გამორიცხვით, სამომხმარებლო იმპორტი ზრდის ტენდენციას ინარჩუნებს.

**საქონლის იმპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**



წყარო: საქსტატი

**საქონლის იმპორტი (წილი მთლიან იმპორტში)**



წყარო: საქსტატი


ქვეყნების ჯგუფის წრელში, მაისის იმპორტის წლიურ ცვლილებაში ევროკავშირის ქვეყნები მცირედი კლების მიმართულებით მოქმედებდა, **-0.8 კპ წვლილით**. აღნიშნული ქვეყნების ჯგუფში, სასაქონლო წრელში კლებას ძირითადად მსუბუქი ავტომობილები განაპირობებდა. შედეგად, ევროკავშირის წილი ავტომობილების მთლიან იმპორტში წლიურად 22.4%-დან 17.4%-მდე შემცირდა. მეორეს მხრივ, გაზრდილია ნავთობპროდუქტებისა და სამკერძო საშუალებებისა იმპორტი.

იმპორტის ზრდის მიმართულებით ყველაზე დიდი წვლილი ქვეყნებს შორის რუსეთს ჰქონდა. ასევე გაზრდილი იყო იმპორტი სომხეთიდან, ბელორუსიდან და ჩინეთიდან. საპირისპიროდ, შემცირებულია აშშ-დან იმპორტზე დანახარჯები.

აღნიშნულ თვეში, ევროკავშირისა და 4 ძირითად სავაჭრო პარტნიორ ქვეყანაზე მთლიანი იმპორტის 70.4% მოდიოდა.


აღსანიშნავია, რომ პროდუქტების წრელში, მაისში იმპორტირებულ საქონელში წამყვანი წილი მსუბუქი ავტომობილებისა და ნავთობპროდუქტების იმპორტს ეკავა. მაღალი წილის მიუხედავად, მსუბუქ ავტომობილებს კლებაში ყველაზე მაღალი წვლილი ჰქონდა.

**ქვეყნების წილი საქონლის იმპორტში (მაისი, 2026)**



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

**საქონლის ექსპორტი სასაქონლო კატეგორიების მიხედვით (წვლილი ზრდაში)**




წყარო: საქსტატი


**ექსპორტი** - მაისში საქონლის რეგისტრირებული ექსპორტის წლიური ზრდა ძირითადად შუალედური მოხმარების (13.8 კპ კონტრიბუციით) საქონლის ექსპორტის ზრდამ განაპირობა. ასევე გაზრდილია სამომხმარებლო საქონლის ექსპორტიც (1.9 კპ კონტრიბუციით). ამასთან, უმნიშვნელოდ შემცირდა საინვესტიციო საქონლის ექსპორტი, წლიურ ცვლილებაში -0.6 კპ კონტრიბუციით.

შუალედური მოხმარების საქონლის ჯგუფიდან გაზრდილი იყო ადგილობრივი წარმოების პროდუქტების, ძვირფასი ლითონების მანქანების, სპილენძის მანქანებისა და ფეროშენადნობების ექსპორტი.

სამომხმარებლო საქონლის ჯგუფიდან გაზრდილია ნავთობპროდუქტების ექსპორტი, ხოლო მსუბუქი ავტომობილების რექსპორტი განაგრძობდა შემცირებას, -15.5 კპ წვლილით აღნიშნული დიპის საქონლის ექსპორტში.



წყარო: საქსტატი



წყარო: საქსტატი; საქართველოს ეროვნული ბანკის გაანგარიშება

ქვეყნების ჯგუფის შრილში, მაისის ექსპორტის წლიურ ცვლილებაში, ევროკავშირის ქვეყნებიდან მიღებული საქსპორტო შემოსავლების წვლილი 1.3 პპ შეადგინა. ეს ძირითადად ფეროშენადნობების ექსპორტის ზრდას უკავშირდებოდა.

ამავე პერიოდში, ქვეყნებს შორის, საქსპორტო შემოსავლები ძირითადად ჩინეთიდან, ირანიდან და სომხეთიდან გაიზარდა. თუმცა ექსპორტი ცენტრალური აზიის ქვეყნებში შემცირებულია, მსუბუქი ავტომობილების რექსპორტის კლების შედეგად.

მაისში საქონლის ექსპორტის უდიდესი წილი მსუბუქ ავტომობილებს (29.5%-იანი წილი მთლიან ექსპორტში) ეჭირა. ძირითადი საქსპორტო პროდუქტებიდან გაზრდილია ძვირფასი ლითონების მადნების, სპილენძის მადნებისა და ფეროშენადნობების ექსპორტიდან მიღებული შემოსავლები.



წინა წელთან შედარებით სასაქონლო ჯგუფების მიხედვით ექსპორტი უფრო მეტად დივერსიფიცირებული იყო.

**ფულადი გზავნილები** - მაისში საქართველოში გადმორიცხული ფულადი გზავნილების მოცულობა წლიურად 7.1%-ით, 339.9 მლნ აშშ დოლარამდე, გაიზარდა, ხოლო საქართველოდან გადარიცხული თანხების მოცულობა 5.1%-ით, 37.0 მლნ აშშ დოლარამდე. ზრდაში წამყვანი კონტრიბუცია ევროკავშირიდან მიღებულმა ფულადმა გზავნილებმა (2.6 პპ) შეიძინა წლიური 6.0%-იანი ზრდით. 8.1%-იან ზრდას განაგრძობდა აშშ-დან მიღებული გზავნილები (წვლილი 1.5 პპ). ისრაელიდან გზავნილების ზრდამ წლიურად 22.7%, ხოლო წვლილმა ზრდაში 1.7 პპ შეადგინა.

მაისში ფულადი გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (43.7%), აშშ (15.3%) და რუსეთი (9.9%) წარმოადგენდა. ევროკავშირის ქვეყნებიდან აღსანიშნავია იტალიის (15.6%), გერმანიის (7.1%) და საბერძნეთის (6.6%) მალალი წილი.

ჟვეყნების წილი სწრაფ ფულად გზავნილებში (მაისი 2026)

ფულადი გზავნილების ზრდა (წვლილი ზრდაში ჟვეყნების მიხედვით)




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

# სავალუტო ბაზარი


მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის საშუალო გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.6955-დან 2.6806-მდე (0.6%-ით), ხოლო ევროს მიმართ 3.1481-დან 3.1315-მდე (0.5%) გამყარდა. თვის ბოლოს ლარის ოფიციალურმა გაცვლითმა კურსმა აშშ დოლარისა და ევროს მიმართ 2.6693 და 3.1079 შეადგინა. აღნიშნულ პერიოდში ლარი-დოლარის გაცვლითი კურსის მაქსიმალური მნიშვნელობა 2.6916 იყო, მინიმალური კი - 2.6693.

## ლარის ნომინალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარისა და ევროს მიმართ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ლარი/დოლარის გაცვლითი კურსის ყოველთვიური მერყეობის დიაგრამა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, საშუალო კურსთან შედარებით, გაცვლითი კურსის მაქსიმალური და მინიმალური მნიშვნელობები თანაბრად იყო გადახრილი.


მაისში, საშუალოდ დოლართან მიმართებაში, საქართველოს თითქმის ყველა სავაჭრო პარტნიორის ვალუტა გამყარდა, გარდა თურქული ლირისა, რომელმაც როგორც თვის, ასევე წლიურ წრილში გაუფასურება განაგრძო. შესამჩნევი იყო რუსული რუბლის გამყარება, ასევე გამყარდა სომხური დრამი და ლარი. ევრო და აზერბაიჯანული მანათი კი პრაქტიკულად არ შეცვლილა.

## თვის განმავლობაში საშუალო კურსიდან გადახრა (ლარი/დოლარი)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ძირითადი სავაჭრო პარტნიორების საშუალო თვიური გაცვლითი კურსების<sup>1</sup> თვიური ცვლილება დოლართან მიმართებაში, 2026 წლის მაისი (ზრდა=გაუფასურება)



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


ლარის რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (REER) წლიურად 0.7%-ით, თვის წრილში კი 0.2%-ით გაუფასურდა. თვის წრილში გაუფასურების მიზეზი მეცნილად რუსული რუბლის გამყარებაა, ხოლო წლის წრილში როგორც რუბლის გაუფასურება, ასევე თურქეთში მალალი ინფლაცია. რაც შეეხება ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსს (NEER), მაისში წლიურად 2.0%-ით გამყარდა, თვის წრილში კი 0.1%-ით გაუფასურდა.

**ზოგადად, ეფექტური კურსის გაუფასურება ქვეყნის კონკურენტუნარიანობაზე დადებითად აისახება, თუმცა იმპორტულ ინფლაციაზე ზრდის მიმართულებით მოქმედებს.**

**გლობალურად მომადგებელი გაურკვევლობის და გაზრდილი ინფლაციური რისკების ფონზე ძირითადი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები გაიზარდა.**


<sup>1</sup>წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი <https://nbg.gov.ge/statistics/statistics-data>

**ლარის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსის ინდექსები (იან.2020=100)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საგაფრო პარტნიორი ქვეყნების ინფლაციები, 2026 წლის მაისი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**სავალუტო ბაზრის ტენდენციები**


მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე მონაწილეობდა 14 კომერციული ბანკი, 2 მიკრობანკი და 9<sup>2</sup> არასაბანკო ორგანიზაცია. სავალუტო ბაზრის მაჩვენებლების მიხედვით ჰერფინდალ-ჰირშმანის ინდექსი დაბალ დონეზე ნარჩუნდება, რაც სავალუტო ბაზრის მაღალ კონკურენტულობაზე მიუთითებს.

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის მთლიანი საგაფრო ბრუნვა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ბანკთაშორის სავალუტო ბაზრის კონცენტრაციის მაჩვენებლები 5 ყველაზე აქტიური ორგანიზაციის წილის მიხედვით**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე ვაჭრობის მოცულობა გაზრდილია, როგორც თვის ასევე წლიურ წრილში. აღნიშნულ თვეში აშშ დოლარი/ლარის ვაჭრობის მთლიანმა ბრუნვამ 717.5 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა თვესთან შედარებით 298.2 მლნ აშშ დოლარით, ხოლო წინა წლის მაისთან შედარებით - 399.3 მლნ აშშ დოლარით მეტია. ბაზრის მონაწილეებს შორის დადებული გარიგებების რაოდენობა წინა თვესთან შედარებით 12.0%-ით, წლიურად კი 16.1%-ით გაიზარდა.

მაისში სავალუტო ბაზარზე ყიდვა-გაყიდვების აქტივობები (უცხოური ვალუდით ლარის შექმნა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) თითქმის მთლიანად სპოტ<sup>3</sup> გარიგებებით ხდებოდა (99.5%) და მთლიანმა ვაჭრობამ 4,211.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წლიურად 792.7 მლნ აშშ დოლარით, ხოლო თვის წრილში - 710.7 მლნ აშშ დოლარითაა გაზრდილი. სპოტ გარიგებების ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეობებზე, მცირე კი - არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. საქართველოს ეროვნული ბანკის წილი მთლიან ვაჭრობაში 15.0% იყო. წესებზე დაფუძნებული ორმხრივი ინტერვენციების მექანიზმის გამოყენებით, თვის განმავლობაში, ეროვნული ბანკის წმინდა შესყიდვამ 632.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.

<sup>2</sup> რომლებიც მონაწილეობენ ბანკთაშორის სავალუტო ბაზარზე დადებულ გარიგებებში.  
<sup>3</sup> სპოტ გარიგება ხდება იმავდროული ვალუდირებით, იმ დროისთვის არსებული კურსით.


**საბ-ის მონაწილეობა სავალუტო ბაზარზე**



\* ანგარიშსწორების თარიღით

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**საოც გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს


წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მაისში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე გაზრდილია როგორც მოთხოვნა, ასევე მიწოდება.**

საერთო ჯამში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაისში საოც გარიგებებით კომერციული ბანკებისგან დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნა წლიურად 497.1 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 386.4 მლნ აშშ დოლარით) და 2,239.6 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ხოლო მიწოდება წლიურად 295.5 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა (თვის წრილში 324.3 მლნ აშშ დოლარით) და 1,972.3 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. საოც გარიგებებით როგორც ვალუტის შეძენაში, ისე გაყიდვაში, ყველაზე დიდი წილი იურიდიულ პირებსა და შინამეურნეოებზე მოდიოდა.

მაისში სავალუტო ფორვარდ<sup>4</sup> გარიგებებით (უცხოური ვალუდით ლარის შეძენა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციები) კომერციულ ბანკებსა და სხვა ეკონომიკურ აგენტებს შორის უცხოური ვალუდით ვაჭრობა წლიურად 18.6 მლნ აშშ დოლარით შემცირდა (თვის წრილში - 90.0 მლნ აშშ დოლარით) და 21.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ფორვარდ გარიგებებით ვაჭრობის ძირითადი ნაწილი იურიდიულ პირებსა და არარეზიდენტ ბანკებზე მოდიოდა. ფორვარდ გარიგებებით დანარჩენი ეკონომიკური აგენტების მიერ ბანკებისგან უცხოური ვალუტის წმინდა გაყიდვამ 14.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.


**საოც გარიგებებით შექმნილი და გაყიდული უცხოური ვალუტა**



\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფორვარდ გარიგებებით უცხოური ვალუდით ვაჭრობა**




\* გრაფიკზე წარმოდგენილი სიდიდეები ასახავს უცხოური ვალუდით ლარის შეძენისა და პირიქით განხორციელებული ტრანზაქციების ბრუნვებს

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისის მდგომარეობით, წინა თვესთან შედარებით, ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები 536.3 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა. რეზერვების მთლიანმა მოცულობამ კი ისტორიულად მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 7.0 მლრდ აშშ დოლარს გადააჭარბა. რეზერვებზე ზრდის მიმართულებით მთავრობის მიერ მიღებული სავალუტო ჩარიცხვები, რეზერვებზე საპროცენტო შემოსავლები და სავალუტო ინტერვენციების საშუალებით უცხოური ვალუტის წმინდა შეძენა, ხოლო შემცირების მიმართულებით - საერთაშორისო ბაზარზე ოქროს ფასის კლების შედეგად მონეტარული ოქროს გადაფასება და მთავრობის სავალუტო ხარჯები (სესხის მომსახურება) მოქმედებდა.

<sup>4</sup> სავალუტო ფორვარდული კონტრაქტი არის ფართოდ მოხმარებადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გამოიყენება სავალუტო რისკების მკვირებისათვის (დაზღვევისათვის). ფორვარდი იძლევა შესაძლებლობას, წინასწარ განსაზღვრული კურსით, დღეს დაიდოს სავალუტო გარიგება ხოლო შესაბამისი ანგარიშსწორება განხორციელდეს მომავალში.

**ეროვნული ბანკის ოფიციალური საერთაშორისო რეზერვები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მთლიანი საერთაშორისო რეზერვების თვიური ცვლილება (მიმდინარე კურსით)**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

## ფულადი ბაზარი

მაისში სადეპოზიტო სერტიფიკატების ერთი აუქციონი ჩატარდა და 20 მლნ ლარის ღირებულების სამთვიანი სადეპოზიტო სერტიფიკატი გაიყიდა. ამავე პერიოდში 20 მლნ ლარის ერთი სადეპოზიტო სერტიფიკატი დაიფარა. შესაბამისად, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატების ნაშთი არ შეცვლილა და 60 მლნ ლარი შეადგინა.


მაისში სახაზინო ფასიანი ქაღალდების ექვსი აუქციონი ჩატარდა. აღნიშნულ აუქციონებზე ჯამში 155.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და 400.0 მლნ ლარის სინდიცირებული ბონდი განთავსდა. ჩატარებულ აუქციონებზე გაიყიდა 6-თვიანი, ერთწლიანი, სამწლიანი, ხუთწლიანი და ორი ათწლიანი ვადიანობის სახაზინო ფასიანი ქაღალდები, რომლებიც, შესაბამისად, 20, 20, 40, 45 და 30 მლნ ლარის ოდენობით განთავსდა. **სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნაშთი წინა თვესთან შედარებით 515.0 მლნ ლარით გაიზარდა და 12,270.0 მლნ ლარი შეადგინა. მთლიანი პორტფელის 67.0%-ს კომერციული ბანკების, 9.2%-ს ეროვნული ბანკის, 16.7%-ს რეზიდენტების, ხოლო 7.1%-ს არარეზიდენტების მფლობელობაში არსებული სახაზინო ფასიანი ქაღალდები შეადგენს.**

**სადეპოზიტო სერტიფიკატების მოცულობა (ნაპალი)**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**სახაზინო ფასიანი ქაღალდების მოცულობა**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**მაისში როგორც სადეპოზიტო სერტიფიკატების საპროცენტო განაკვეთები, ასევე სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთებიც გაიზარდა.** კერძოდ, მაისში, წინა თვესთან შედარებით, სადეპოზიტო სერტიფიკატებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 0.1 პპ-ით, 8.0%-მდე, გაიზარდა. ექვსთვიანი და ერთწლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები შესაბამისად 0.1 პპ-ით და 0.3 პპ-ით გაიზარდა და 8.1% და 8.3% შეადგინა. 3 წლიანი სახაზინო ვალდებულებების საპროცენტო განაკვეთები თითქმის უცვლელად 8.3%-ზე შენარჩუნდა. ხოლო 5 და 10 წლიანი სახაზინო ობლიგაციების საპროცენტო განაკვეთები 0.1 პპ-ითა და 0.2 პპ-ით, შესაბამისად 8.8%-მდე და 9.5%-მდე, გაიზარდა.

**ფულადი ბაზრის საპროცენტო განაკვეთები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ლარის შემოსავლიანობის მრუდი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში ბანკთაშორის ფულადი ბაზრის მოცულობა თვის წრილში 1,168.7 მლნ ლარით (წლიურად 3,328.5 მლნ ლარით გაიზარდა) 22,119.1 მლნ ლარამდე გაიზარდა, რაც მეტწილად უცხოური ვალუტის რესურსით არის განპირობებული. ბანკთაშორის ფულადი ბაზრის დიდი წილი უცხოური ვალუტის ბრუნვაზე მოდის (77.4%), რომლის მოცულობაც თვის წრილში 1,462.3 მლნ ლარით (9.3%-ით) გაიზარდა. ლარის რესურსის ბრუნვის მოცულობა კი თვის წრილში 293.5 მლნ ლარით (5.5%-ით) შემცირდა.

რაც შეეხება საპროცენტო განაკვეთებს, ბანკთაშორის ბაზარზე ლარის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი თვის წრილში გაიზარდა 0.4 პპ-ით და 7.8% შეადგინა. უცხოური ვალუტის საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი პრაქტიკულად არ შეცვლილა და 1.6%-ზე შენარჩუნდა.

აღსანიშნავია, რომ მაისში ფულადი ბაზრის რესურსის 24.3% ერთ თვემდე ვადიანობის დეპოზიტებზე, ხოლო 74.6% კი მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებულ რესურსზე მოდიოდა.

**ბანკთაშორის ფულადი ბაზარი**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


**მონეტარული აბრეგატები**

მაისში, წინა თვესთან შედარებით, სარეზერვო ფულის მოცულობა 32.3 მლნ ლარით (0.4%-ით) შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 8.3 მლრდ ლარი შეადგინა. საშუალო მაჩვენებლის მიხედვით კი, წინა თვესთან შედარებით, 84.1 მლნ ლარით (1.0%-ით) გაიზარდა.

მაისში სავალუტო აუქციონების გამოყენებით ეროვნულ ბანკს ოპერაციები არ განუხორციელებია. BMatch პლატფორმის წესებზე დაფუძნებული მექანიზმის გამოყენებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო შესყიდვებმა თვის განმავლობაში 632.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ამასთან, შიდა სამთავრობო კონვერტაციებით ეროვნული ბანკის წმინდა სავალუტო გაყიდვებმა 125.4 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. აღნიშნული ოპერაციების შედეგად, წმინდა უცხოური აქტივები 507.4 მლნ აშშ დოლარით გაიზარდა.


მაისში მთავრობის დეპოზიტებზე არსებული სახსრები 369.3 მლნ ლარით გაიზარდა და მისი მოცულობა პერიოდის ბოლოსთვის, 1,292.6 მლნ ლარს გაუცოლდა.

**სარეზერვო ფულის თვიური ცვლილება კოპორენდების მიხედვით**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**ფულადი აგრეგატი**




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

მაისში, ნაღდ ფულზე მოთხოვნა 131.0 მლნ ლარით გაიზარდა. ამასთან რეფინანსირების სესხების მოცულობა, წინა თვესთან შედარებით, 1,500 მლნ ლარით შემცირდა. ერთდღიანი სესხის ნაშთი კი 70.0 მლნ ლარით შემცირდა. მაისში დაიფარა 20.0 მლნ ლარის ნომინალური ღირებულების სადეპოზიტო სერტიფიკატები და იმავე მოცულობით განთავსდა. მეორად ბაზარზე, სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვის ოპერაციები არ განხორციელებულა. მთლიანობაში, მაისში ბანკების წმინდა დავალიანების მოცულობა 1,570.0 მლნ ლარით შემცირდა და პერიოდის ბოლოსთვის, 1,940.5 მლნ ლარს გაუცოლდა.


მაისში, ფართო ფულის M3 მოცულობა თვიურად 0.6 მლრდ ლარით, ხოლო ფართო ფულის M2 აგრეგატის მოცულობა კი დაახლოებით 1 მლრდ ლარით გაიზარდა.

**საბანკო სექტორის ლიკვიდობაზე მოქმედი ფაქტორები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

**მონეტარული ოპერაციები**



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს ეროვნული ბანკი 0114, ზვიად გამსახურდიას სანაპირო N1  
ტელ: 240 64 88; ფაქსი: 240 65 77; ცხელი ხაზი: 240 64 06  
ელ ფოსტა: info@nbg.ge; www.nbg.ge

